

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
№1/226 2011 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

**საერთო სასამართლოს მოსამართლის საქმიანობის ეფექტურობის
შეფასების წესის დამტკიცების შესახებ**

1. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-9 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის, მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს საერთო სასამართლოს მოსამართლის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების თანდართული წესი.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მოსამართლის დატვირთულობისა და საქმიანობის ეფექტურობის შეფასების სახელმძღვანელო პრინციპების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2010 წლის 8 ოქტომბრის №1/159 გადაწყვეტილება.

3. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2011 წლის 28 დეკემბრიდან.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დამტკიცებულია
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
2011 წლის 27 დეკემბრის N/226 გადაწყვეტილებით

**საერთო სასამართლოს მოსამართლის საქმიანობის
ეფექტურობის შეფასების წესი**

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საერთო სასამართლოებში საქმეთა ნაკადის, მოსამართლეთა დატვირთვის, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის კონტროლისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობის, ასევე მოსამართლეთა წახალისების მიზნით ხდება საერთო სასამართლოების მოსამართლეთა საქმიანობის ეფექტურობის შეფასება (შემდგომ – შეფასება).

2. შეფასებას, საერთო სასამართლოებიდან მიღებული სტატისტიკური მასალების განზოგადების მეშვეობით და ამ დებულებით დადგენილი წესით, ახორციელებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ყოველ 6 თვეში ერთხელ.

მუხლი 2. შეფასების კომპონენტები

1. შეფასება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- ა) განხილულ საქმეთა კოეფიციენტების რაოდენობა;
- ბ) დასრულებულ საქმეთა სირთულე;
- გ) საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა;
- დ) გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა;
- ე) გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა. (12.06.2017 N1/199)

2. შეფასების კომპონენტები ფასდება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და ერთიანდება საერთო შეფასებაში ამ დებულებით დადგენილი წესით.

თავი II. განხილულ საქმეთა კოეფიციენტების რაოდენობა

მუხლი 3. საქმეთა კოეფიციენტები

1. ამ დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული კომპონენტის შეფასების მიზნით, საერთო სასამართლოს მოსამართლის წარმოებაში არსებულ და განხილულ საქმეებს შეესაბამება ცხრილში მოცემული შემდეგი ოდენობის კოეფიციენტები:

პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის (12.06.2017 N1/199)

| N | საქმე | პირველი ინსტანციის სასამართლოები (თბილისის საქალაქო სასამართლოს გარდა) | თბილისის საქალაქო სასამართლო |
|----|---|--|------------------------------|
| 1 | სისხლის სამართლის საქმე (არსებითი განხილვის ეტაპზე) | 6 | 6 |
| 2 | სისხლის სამართლის საქმე (წინასასამართლო სხდომის ეტაპზე) | 3 | 3 |
| 3 | სისხლის სამართლის საქმე (ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომის ეტაპზე) | 2 | 2 |
| 4 | შუამდგომლობა სისხლის სამართლის საქმეზე | 1.5 | 1.5 |
| 5 | სხვა ტიპის სისხლის სამართლის საქმე | 1 | 1 |
| 6 | სამოქალაქო საქმე (სასარჩელო წარმოება) | 6 | - |
| 7 | <i>სანივთო (ვიწრო სპეციალიზაცია)</i> | - | 5 |
| 8 | <i>ვალდებულებითი (ვიწრო სპეციალიზაცია)</i> | - | 5 |
| 9 | <i>საოჯახო (ვიწრო სპეციალიზაცია)</i> | - | 5 |
| 10 | <i>უდავო (ვიწრო სპეციალიზაცია)</i> | - | 5 |
| 11 | სამოქალაქო საქმე (უდავო და გამარტივებული წარმოება) | 2 | 2 |
| 12 | განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ | 2 | 2 |
| 13 | ადმინისტრაციული საქმე | 6 | - |

| | | | |
|----|---|---|-----|
| 14 | "ა" (ვიწრო სპეციალიზაცია) | - | 5 |
| 15 | "ბ" (ვიწრო სპეციალიზაცია) | - | 5 |
| 16 | "გ" (ვიწრო სპეციალიზაცია) | - | 5 |
| 17 | "დ" (ვიწრო სპეციალიზაცია) | - | 5 |
| 18 | ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პრიმა თავებით გათვალისწინებული საქმე | 2 | 2 |
| 19 | ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე | 2 | 2 |
| 20 | განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ | 2 | 2"; |

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოსათვის

| N | საქმე | კოეფიციენტი |
|----|---|-------------|
| 1 | სააპელაციო საჩივარი სისხლის სამართლის საქმეზე | 6 |
| 2 | საჩივარი სხვა ტიპის სისხლის სამართლის საქმეზე | 1 |
| 3 | სააპელაციო საჩივარი სამოქალაქო საქმეზე | 6 |
| 4 | კერძო საჩივარი სამოქალაქო საქმეზე | 3 |
| 5 | არბიტრაჟთან დაკავშირებული საქმე | 4 |
| 6 | საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაზე (სამოქალაქო საქმეზე) | 2 |
| 7 | სააპელაციო საჩივარი ადმინისტრაციულ საქმეზე | 6 |
| 8 | კერძო საჩივარი ადმინისტრაციულ საქმეზე | 3 |
| 9 | საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პრიმა თავებით გათვალისწინებულ საქმეზე | 2 |
| 10 | საჩივარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე | 2 |
| 11 | საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაზე (ადმინისტრაციულ საქმეზე) | 2 |

მუხლი 4. ნაშთის სახით დარჩენილ საქმეთა დონეები

1. ნაშთის სახით დარჩენილ საქმეთა დონეები (შემდგომ - ნაშთის დონე) განისაზღვრება საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეთა კოეფიციენტების ჯამის მიხედვით.

2. მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეთა ნაშთის დონეს შეესაბამება ცხრილში მოცემული შემდეგი ოდენობის კოეფიციენტები:

(12.06.2017 NI/199)

| „N | ნაშთის დონე | პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლისათვის (თბილისის საქალაქო სასამართლოს გარდა) | პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარისათვის (თბილისის საქალაქო სასამართლოს გარდა) | თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლისათვის | თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლისათვის | თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლისათვის | სააპელაციო სასამართლოს მოსამართლისათვის |
|----|-------------|---|--|---|--|--|---|
| 1 | დაბალი | 500 კვ-ზე ნაკლები | 400 კვ-ზე ნაკლები | 500 კვ-ზე ნაკლები | 500 კვ-ზე ნაკლები | 400კვ-ზე ნაკლები | 150კვ-ზე ნაკლები |
| 2 | საშუალო | 500-750 კვ | 400-600 კვ | 500-750 კვ | 500-750 კვ | 400-600 კვ | 150-300კვ |
| 3 | მაღალი | 750კვ და მეტი | 600კვ და მეტი | 750კვ და მეტი | 750კვ და მეტი | 600კვ და მეტი | 300კვ და მეტი |

3. ნაშთის დონის მიხედვით დიფერენცირება არ ეხება თბილისის საქალაქო სასამართლოს იმ მოსამართლეს, რომელიც ატარებს ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და წინასასამართლო სხდომებს, იხილავს შუამდგომლობებს სისხლის სამართლის საქმეზე.

მუხლი 5. განსახილველ საქმეთა კოეფიციენტის ოდენობა

1. განსახილველ საქმეთა კოეფიციენტის ოდენობა არის საქმეთა კოეფიციენტების ის მინიმალური რაოდენობა, რომლის საანგარიშო პერიოდში განხილვაც მოეთხოვება მოსამართლეს.

2. განსახილველ საქმეთა კოეფიციენტის ოდენობა დამოკიდებულია მოსამართლის ნაშთის დონეზე და შეადგენს: (12.06.2017 N1/199)

ა) რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლისათვის:

ა.ა) საანგარიშო პერიოდში წარმოემამი მიღებულ საქმეთა კოეფიციენტის შესაბამის ოდენობას – ნაშთის დაბალი დონის მქონე მოსამართლისათვის;

ა.ბ) საანგარიშო პერიოდში წარმოემამი მიღებულ საქმეთა კოეფიციენტზე 300კვ–ით მეტს – ნაშთის საშუალო დონის მქონე მოსამართლისათვის;

ა.გ) საანგარიშო პერიოდში წარმოემამი მიღებულ საქმეთა კოეფიციენტზე 550კვ–ით მეტს – ნაშთის მაღალი დონის მქონე მოსამართლისათვის;

ბ) სააპელაციო სასამართლოს მოსამართლისათვის:

ბ.ა) საანგარიშო პერიოდში წარმოემამი მიღებულ საქმეთა კოეფიციენტის შესაბამის ოდენობას – ნაშთის დაბალი დონის მქონე მოსამართლისათვის;

ბ.ბ) საანგარიშო პერიოდში წარმოემამი მიღებულ საქმეთა კოეფიციენტზე 150 კვ–ით მეტს – ნაშთის საშუალო დონის მქონე მოსამართლისათვის;

ბ.გ) საანგარიშო პერიოდში წარმოემამი მიღებულ საქმეთა კოეფიციენტზე 300 კვ–ით მეტს – ნაშთის მაღალი დონის მქონე მოსამართლისათვის.

3. იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლის მიერ განსახილველ საქმეთა ამ მუხლის მე–2 პუნქტით დადგენილი ოდენობა აჭარბებს: (12.06.2017 N1/199)

ა) 1500 კვ–ს ნაშთის დაბალი დონის მქონე მოსამართლისათვის, მაშინ განსახილველ საქმეთა კოეფიციენტის მინიმალური რაოდენობის ზედა ზღვარი შეადგენს 1500 კვ–ს;

ბ) 1800 კვ–ს ნაშთის საშუალო დონის მქონე მოსამართლისათვის, მაშინ განსახილველ საქმეთა კოეფიციენტის მინიმალური რაოდენობის ზედა ზღვარი შეადგენს 1800 კვ–ს;

გ) 2400 კვ–ს ნაშთის მაღალი დონის მქონე მოსამართლისათვის, მაშინ განსახილველ საქმეთა კოეფიციენტის მინიმალური რაოდენობის ზედა ზღვარი შეადგენს 2400 კვ–ს.“;

4. მე–4 მუხლის მე–3 პუნქტით გათვალისწინებული მოსამართლისათვის განსახილველ საქმეთა კოეფიციენტის ოდენობა შეესაბამება საანგარიშო პერიოდში წარმოებაში მიღებულ საქმეთა კოეფიციენტების ოდენობას.

5. განსახილველ საქმეთა კოეფიციენტის მინიმალური რაოდენობის ზედა ზღვარი თბილისის საქალაქო სასამართლოს იმ მოსამართლისათვის, რომელიც:

ა) ატარებს წინასასამართლო სხდომებს, შეადგენს 2000 კოეფიციენტს;

ბ) ატარებს ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომებს და იხილავს შუამდგომლობებს სისხლის სამართლის საქმეზე, შეადგენს 3000 კოეფიციენტს.

(12.06.2017 N1/199)

| „განსახილველ საქმეთა კოეფიციენტის ოდენობა | | | | |
|--|--|---|-----------------------|--|
| ნაშთის დონე | წარმოებაში მიღებულ საქმეთა კოეფიციენტი | განსახილველ საქმეთა კოეფიციენტის მინიმალური ოდენობა | | განსახილველ საქმეთა კოეფიციენტის მინიმალური ოდენობის ზედა ზღვარი |
| | | რაიონული (საქალაქო) სასამართლო | სააპელაციო სასამართლო | |
| დაბალი | X | X | X | 1500 |
| საშუალო | X | X+300 | X+150 | 1800 |
| მაღალი | X | X+550 | X+300 | 2400“; |

6. საანგარიშო პერიოდში მოსამართლის შვებულებაში, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის პერიოდის ან მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის სხვა საპატიო გარემოებების არსებობის შემთხვევაში, თუ გაცდენილი დღეების ჯამური ოდენობა აღემატება 15 დღეს, 15 დღის ზემოთ გაცდენილი დღეების რაოდენობა პროპორციულად აისახება მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის ამ დებულებით დადგენილ ოდენობაზე.

7. საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის მოსამართლის წარმოებაში არსებული შეჩერებული საქმეები არ ფიქსირდება მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეთა და შესაბამისად, ნაშთის სახით დარჩენილ საქმეთა საერთო რაოდენობაში.

8. მოსამართლის საქმიანობის ეფექტურობის ობიექტურად შეფასების მიზნით, საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის მომეტებული რაოდენობის საქმეთა წარმოებაში მიღება ან სხვა მოსამართლისაგან გადმოწერა, წარმოებაში არსებულ საქმეთა განსაკუთრებული შინაარსობრივი სირთულე, ასევე მოსამართლის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ობიექტური მიზეზების გათვალისწინება ხდება ინდივიდუალურად, შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარის ინფორმაციის საფუძველზე.

მუხლი 6. კომპონენტის შეფასება

1. ამ თავით გათვალისწინებული კომპონენტის შეფასება გამოისახება პროცენტული შედეგით (0%-დან 120%-მდე), რომელიც ასახავს მოსამართლის მიერ განხილულ საქმეთა კოეფიციენტის ოდენობის შესაბამისობას ამ წესის მე-5 მუხლით დადგენილ ოდენობასთან.

2. მოსამართლე საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის იღებს ერთ-ერთი შემდეგ შეფასებას:

ა) 120% – ამ წესით დადგენილი მოთხოვნის 120%-ით ან მეტით შესრულებისას და არანაკლებ 2000კვ-ის შესაბამის საქმეთა რაოდენობის დასრულებისას;

ბ) 110%-119% – ამ წესით დადგენილი მოთხოვნის 110%-დან 120%-მდე შესრულებისას და არანაკლებ 2000კვ-ის შესაბამის საქმეთა რაოდენობის დასრულებისას;

გ) 100%-109% – ამ წესით დადგენილი მოთხოვნის 100%-დან 110%-მდე შესრულებისას;

დ) 109% - ამ წესით დადგენილი მოთხოვნის 110%-ით ან მეტით შესრულებისას და 2000კვ-ის შესაბამის საქმეთა რაოდენობაზე ნაკლები ოდენობის დასრულებისას;

ე) 100% - ამ წესით დადგენილი მოთხოვნის 100%-ზე ნაკლები ოდენობით შესრულებისას და არანაკლებ 2000კვ-ის შესაბამის საქმეთა რაოდენობის დასრულებისას;

ე) 0%-99% – ამ წესით დადგენილი მოთხოვნის 0%-დან 100%-მდე შესრულებისას და 2000კვ-ის შესაბამის საქმეთა რაოდენობაზე ნაკლები ოდენობის დასრულებისას.

| შეფასება | განხილულ საქმეთა კოეფიციენტის %-ული შესაბამისობა განსახილველ საქმეთა კოეფიციენტის ოდენობასთან | განხილულ საქმეთა კოეფიციენტის ოდენობა |
|-----------|---|---------------------------------------|
| 120% | 120% და მეტი | 2000 და მეტი |
| 110%-119% | 110%-დან 120%-მდე | 2000 და მეტი |
| 100%-109% | 100%-დან 110%-მდე | რაოდენობის მიუხედავად |
| 109% | 110% და მეტი | 2000-ზე ნაკლები |
| 100% | 100%-ზე ნაკლები | 2000 და მეტი |
| 0%-99% | 0%-დან 100%-მდე | 2000-ზე ნაკლები |

თავი III. დასრულებულ საქმეთა სირთულე

მუხლი 7. მოსამართლის დატვირთვა

1. ამ თავით გათვალისწინებული კომპონენტით ფასდება მოსამართლის დატვირთვა დასრულებულ საქმეთა სირთულის შესაბამისად.

2. დასრულებულ საქმეთა სირთულის შესაბამისად მოსამართლის დატვირთვა დამოკიდებულია საქმეთა დასრულების შედეგებზე, რომელთათვის ინდივიდუალურად არის განსაზღვრული შესაბამისი კოეფიციენტები.

3. დასრულებულ საქმეებზე მოსამართლის დატვირთვა შეადგენს ამ თავით დადგენილ საქმეთა დასრულების შედეგის შესაბამისი კოეფიციენტების ჯამს.

მუხლი 8. საქმეთა დასრულების შედეგის კოეფიციენტები (12.06.2017 N1/199)

მოსამართლის მიერ დასრულებულ საქმეს, საქმის დასრულების შედეგის მიხედვით, განესაზღვრება შემდეგი ოდენობის კოეფიციენტი:

ა) სისხლის სამართლის საქმეებზე:

ა.ა) არსებითი განხილვით – 6;

ა.ბ) საპროცესო შეთანხმების დამტკიცებით – 2;

ა.გ) წინასასამართლო სხდომის განხილვით – 4;

ა.დ) ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომის განხილვით – 3;

ა.ე) სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტით – 3;

ა.ვ) ქვემდებარეობით, განსჯადობით ან აცილების საფუძველზე საქმის სხვა მოსამართლისათვის/სასამართლოსათვის გადაცემით – 0,5;

ა.ზ) სისხლის სამართლის საქმეზე შუამდგომლობის განხილვით – 2;

ა.თ) სხვა ტიპის სისხლის სამართლის საქმის განხილვით – 2;

ბ) სამოქალაქო საქმეებზე:

ბ.ა) გადაწყვეტილების გამოტანით (სასარჩელო წარმოება) – 6;

ბ.ბ) დაუსწრებელი გადაწყვეტილებით – 2;

ბ.გ) მორიგების პროცესის დამტკიცებით – 9;

ბ.დ) გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე – 1;

ბ.ე) ქვემდებარეობით, განსჯადობით ან აცილების საფუძველზე საქმის სხვა მოსამართლისათვის/სასამართლოსათვის გადაცემით – 0,5;

ბ.ვ) უდავო და გამარტივებული წარმოების საქმის განხილვით – 3;

ბ.ზ) სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განხილვით – 2;

გ) ადმინისტრაციულ საქმეებზე:

გ.ა) გადაწყვეტილების გამოტანით – 6;

გ.ბ) მორიგების პირობების დამტკიცებით – 9;

გ.გ) გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე – 1;

გ.დ) ქვემდებარეობით, განსჯადობით ან აცილების საფუძველზე საქმის სხვა მოსამართლისათვის/ სასამართლოსათვის გადაცემით – 0,5.

გ.ე) ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პრიმა თავებით გათვალისწინებული საქმის განხილვით – 2;

გ.ვ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვით – 3;

გ.ზ) სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განხილვით – 2.

მუხლი 9. მოსამართლის დატვირთვის სტანდარტი და შეფასება

1. დასრულებულ საქმეთა სირთულის მიხედვით მოსამართლის დატვირთვის სტანდარტი შეადგენს მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეთა საერთო რაოდენობის ნამრავლს კოეფიციენტზე: (12.06.2017 N1/199)

ა) 2,0 – საქმეთა საერთო სპეციალიზაციით განმხილველი მოსამართლისათვის;

ბ) 2,0 – სამოქალაქო საქმეთა განმხილველი მოსამართლისათვის;

გ) 2,0 – ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი მოსამართლისათვის;

დ) 1,7 – სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლისათვის;

ე) 2,0 – მოსამართლისათვის, რომელიც ატარებს ძირითადად წინასასამართლო სხდომებს;

ვ) 1,0 – მოსამართლისათვის, რომელიც ატარებს ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომებს და იხილავს შუამდგომლობებს სისხლის სამართლის საქმეზე;

ზ) 3,3 – სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლისათვის;

თ) 3 – სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლისათვის;

ი) 1,5 – სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლისათვის.

2. მოსამართლე, მის მიერ დასრულებულ საქმეთა შედეგების კოეფიციენტების ჯამის ამ წესით დადგენილ ოდენობასთან შესაბამისობის მიხედვით, იღებს ერთ-ერთ შემდეგ შეფასებას:

ა) 120% – ამ წესით დადგენილი მოთხოვნის 120%-ით ან მეტით შესრულება;

ბ) 0-119% – ამ წესით დადგენილი მოთხოვნის 0%-დან 120%-მდე შესრულება.

| შეფასება | საქმეთა დასრულების შედეგების კოეფიციენტის %-ული შესაბამისობა დატვირთვის სტანდარტთან |
|----------|---|
| 120% | 120% და მეტი |
| 0%-119% | 0%-დან 120%-მდე |

თავი IV. საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა

მუხლი 10. საქმის განხილვა და შეფასება

1. ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული კომპონენტის შეფასების უზრუნველსაყოფად ხორციელდება მოსამართლის მიერ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა დასრულების ვადების შესაბამისობის კონტროლი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან

2. ამ მუხლით გათვალისწინებული კომპონენტის შეფასება გამოისახება პროცენტული მაჩვენებლით (0%-დან 100%-მდე), რომელიც ასახავს საანგარიშო პერიოდში საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის დაცვით განხილულ საქმეთა ხვედრით წილს მოსამართლის მიერ განხილულ ყველა საქმეში და გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

შეფასება = $Y/X*100$, სადაც Y არის ვადის დაცვით განხილულ საქმეთა რაოდენობა, ხოლო X – განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა.

3. იმ მოსამართლეს, რომელსაც საანგარიშო პერიოდში განხილული აქვს მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეები, ამ მუხლით გათვალისწინებული კომპონენტის შეფასებაში დაუფიქსირდებათ 100%.

თავი V. გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა

მუხლი 11. გადაწყვეტილების მომზადება და შეფასება

1. ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული კომპონენტის შეფასების უზრუნველსაყოფად ხორციელდება მოსამართლის მიერ დასრულებულ საქმეებზე გადაწყვეტილების მომზადების ვადების შესაბამისობის კონტროლი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული კომპონენტის შეფასება გამოისახება პროცენტული მაჩვენებლით (0%-დან 100%-მდე), რომელიც ასახავს საანგარიშო პერიოდში საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის დაცვით მომზადებულ გადაწყვეტილებათა ხვედრით წილს მოსამართლის მიერ მომზადებულ ყველა გადაწყვეტილებაში და გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

შეფასება = $Y/X*100$, სადაც Y არის ვადის დაცვით მომზადებული გადაწყვეტილებების რაოდენობა, ხოლო X – მომზადებულ გადაწყვეტილებათა საერთო რაოდენობა.

თავი VI. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა *(სათაური 12.06.2017 NI/199)*

მუხლი 12. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა და შეფასება

(სათაური 12.06.2017 NI/199)

1. გადაწყვეტილებათა სტაბილურობა გულისხმობს მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისობას იმავე საქმეზე ზემდგომი ინსტანციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული კომპონენტის შეფასება გამოისახება პროცენტული მაჩვენებლით (0%-დან 100%-მდე), რომელიც ასახავს საანგარიშო პერიოდში სასჯელის შეცვლით ცვლილებაშეტანილი ან უცვლელად ძალაში დატოვებული

გადაწყვეტილებების ხვედრით წილს ზემდგომი ინსტანციის მიერ განხილული ყველა სააპელაციო/საკასაციო საჩივრიდან და გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

შეფასება = $Y/X \cdot 100$, სადაც Y არის სასჯელის შეცვლით ცვლილებაშეტანილ ან უცვლელად ძალაში დატოვებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობა, ხოლო X – ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ განხილულ სააპელაციო/საკასაციო საჩივართა საერთო რაოდენობა.

3. იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო პერიოდში შესაფასებელი მოსამართლის გადაწყვეტილება ზემდგომი ინსტანციის მიერ განხილული არ ყოფილა, ან განხილულ სააპელაციო/საკასაციო საჩივართა რაოდენობა არ აღემატება 3–ს, მაშინ ამ თავით გათვალისწინებული კომპონენტის შეფასებაში მოსამართლეს დაუფიქსირდება 100%, მიუხედავად ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით მიღებული შეფასებისა.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული კომპონენტის შეფასებისას ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების ცვლილებად/გაუქმებად არ ითვლება: (12.06.2017 N1/199)

ა) სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე საქმის მორიგებით დასრულება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში;

ბ) სისხლის სამართლის საქმეებზე საპროცესო შეთანხმებით საქმის დასრულება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში;

გ) ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ მხოლოდ ხარჯების ცვლილება;

დ) საპროცესო შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ განაჩენის გაუქმება;

ე) ახალი კანონის ამოქმედება;

ვ) ამნისტიის კანონის ამოქმედება ან საქართველოს პრეზიდენტის მიერ შეწყალების აქტის გამოცემა;

ზ) ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის ცვლილება ან გაუქმება;

თ) მხოლოდ სასჯელის ზომის ცვლილება;

ი) დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გამო ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლა;

კ) მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობა ან სარჩელზე უარის თქმა.

თავი VII. საერთო შეფასება

მუხლი 13. შეფასების კომპონენტების გავლენა საერთო შეფასებაზე

1. ამ წესის II-VI თავების მიხედვით მიღებული ცალკეული კომპონენტების შეფასებები ერთიანდება საერთო შეფასებაში ამ თავით დადგენილი წესით.

2. საერთო შეფასებაში შემავალ თითოეულ კომპონენტს შეესაბამება ინდივიდუალური ხვედრითი წილი, რომლის ფარგლებში ახდენს გავლენას საერთო შეფასების პროცენტულ ოდენობაზე.

3. საერთო შეფასებაში შემავალი კომპონენტების ხვედრითი წილი საერთო შეფასებაში განისაზღვრება შემდეგი ოდენობით: (12.06.2017 N1/199)

ა) განხილულ საქმეთა კოეფიციენტების რაოდენობა – 40%;

ბ) დასრულებულ საქმეთა სირთულე – 25%;

გ) საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა – 15%;

- დ) გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა – 10%;
- ე) გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა – 10 %.

მუხლი 14. საერთო შეფასების დონეები

ამ წესის მე-13 მუხლით დადგენილი წესის მიხედვით მიღებული საერთო შეფასება პროცენტული ოდენობის გათვალისწინებით შეიძლება იყოს:

- ა) A+ (101%-დან 111%-ის ჩათვლით) - სამუშაო შესრულებულია უმაღლეს დონეზე, აჭარბებს მოლოდინს;
- ბ) A (91%-დან 101%-მდე) - სამუშაო შესრულებულია კარგ დონეზე, შეესაბამება მოლოდინს;
- გ) B (81%-დან 91%-მდე) - სამუშაო შესრულებულია მისაღებ დონეზე, ნაწილობრივ შეესაბამება მოლოდინს;
- დ) C (71%-დან 81%-მდე) - სამუშაო შესრულებულია დამაკმაყოფილებელ დონეზე;
- ე) D (61%-დან 71%-მდე) - სამუშაო შესრულებულია ნაწილობრივ დამაკმაყოფილებელ დონეზე;
- ვ) E (51%-დან 61%-მდე) - სამუშაო სრულდება ხარვეზებით, ბევრია გამოსასწორებელი;
- ზ) F (0%-დან 51%-მდე) - სამუშაო შესრულებულია არადამაკმაყოფილებელ დონეზე, არ შეესაბამება მოთხოვნებს.

თავი VIII. შეფასების შედეგები

მუხლი 15. შეფასების შედეგები (12.06.2017 N1/199)

ამ წესით გათვალისწინებული შეფასების შედეგების გათვალისწინებით საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციებს კონკრეტული მოსამართლის ან სასამართლოს საქმიანობაში იდენტიფიცირებული პრობლემების გადაჭრის მიზნით.

მუხლი 16. ამოღებულია (12.06.2017 N1/199)